ხელშეკრულება # 26

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ

ქ. წყალტუბო 24.03. 2016 წელი

ერთის მხრივ, **ა.ი.პ. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის" კულტურისა და ტურიზმის განვითარების ცენტრი** „(ს/ნ421271563)(შემდგომში ,,შემსყიდველი") **წარმოდგენილი ა.ა.ი.პ.„კულტურის ცენტრისა და ტურიზმის განვითარების ცენტრის" მმართველის სიმონ კუჭავას სახით** და მეორეს მხრივ ი/მეწარმე ლევანი ლექვინაძე (ს/კ 60003002480) (შემდგომში ,,მომწოდებელი") სახით ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე–10' მუხლის მესამე პუნქტის ,,ვ" ქვეპუნქტის, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის #9 ბრძანებით დამტკიცებული ,,გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერებისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის" მე–3 მუხლის მეორე პუნქტის ,,ვ" ქვეპუნქტის საფუძველზე, გამარტივებული შესყიდვის ფორმით დებენ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება

1.1 ,,ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში–,,ხელშეკრულება")– შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.

1.2 ,,ხელშეკრულების ღირებულება"–საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3 ,,დღე". ,,კვირა", ,,თვე"–კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4 ,,შემსყიდველი"–ორგანიზაცია , რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5 ,,მიმწოდებელი"– პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურეობის მიწოდებას ხელშეკრულების ფარგლებში.

2.ხელშეკრულების საგანი

2.1 კლასიფიკატორის კოდი:

39254100 -საათები

44911000 - მარმარილო და კირის შემცველი სამშენებლო ქვა

18332000 - მაისურები

18211000 - კეპები

37822000 - სახატავი კალმები

39221120 - ფინჯნები და მინის ჭურჭელი

37810000 - ხელნაკეთობები

35123400 - სამკერდე ნიშნები

22816100 - ბლოკნოტები

30100000 - საკანცელარიო ნივთები

3. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება

3.1 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 8 000 . 00 / რვა ათასი / **ლარს.**

3.2 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს.

4. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

4.1 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით ეროვნულ ვალუტაში.

4.2 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მხარეთა მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურეობის მიწოდების შემდეგ, შესაბამისი საანგარიშსწორებო დოკუმენტის საფუძველზე.

4.3 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ფაქტიურად გაწეული მომსახურეობის შესაბამისად, საგადასახადო ანგარიშ–ფაქტურის წარმოდგენიდან 30 კალენდარული დღის განმავლობაში.

5. მიღება–ჩაბარების წესი

5.1 საქონელი ჩაითვლება მიწოდებულად მხოლოდ გაწეული მომსახურეობის დამადასტურებელი დოკუმენტაციის გაფორმების შემდეგ.

6. მიწოდების ადგილი და ვადა

6.1 საქონლის მიწოდება განხორციელდება შემსყიდველის მიერ მითითებულ მისამართზე.

6.2 მომსახურების მიწოდება განხორციელდება 2016 **წლის 31 დეკემბრის** ჩათვლით.

7. მხარეთა უფლება–მოვალეობები

7.1 შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს მიწოდებული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

7.2 მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

7.3 მიმწოდებელი ვალდებულია მიაწოდოს მომსახურება სათანადო ხარისხით.

8. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

8.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხელო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0,5 %–ის ოდენობით.

8.2 იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 30 (ოცდაათი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხელოს ანაზღაურება.

8.3 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9. ფორს–მაჟორი

9.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს–მაჟორული გარემოების შედეგი.

9.2 ამ მუხლის მიზნებისათვის ,,ფორს–მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა

და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით,კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

10.1 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

10.2.ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველთათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევევისა, ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10.3. ხელშეკრულების ერთ–ერთი მხარის მიერ ხელშეკრულებების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

10.4. მხარე ვალდებულია არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშულებიბს გამოყენებიტთ შეატყობინოს მორე მხარეს 10.3 პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ,

10.5. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერშეთანხმების საფუძველზე.

11. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრერბა ურთიერრთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილები არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე და მოქმედებს მხარეთა მიერ ვალდებულებების შესრულებამდე.

მხარეთა იურიდიული მისამართები

შემსყიდველი	**მიმწოდებელი**
ა.ა.ი.პ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კულტურისა და ტურიზმის განვითარების ცენტრი“ მის: ქ. წყალტუბო, რუსთაველის 25 ,,ლიბერთი ბანკის“ წყალტუბოს ფილიალი ა/ა # GE76LB0115171517382000 ს/კოდი: 421271563 ა.ა.ი.პ „კულტურისა და ტურიზმის განვითარების ცენტრის“ მმართველი სიმონ კუჭავა	ი/მეწარმე ლევანი ლექვინაძე მის: ქ.ქუთაისი, ჭავჭავაძის ქ.6/35 “თიბისიბანკი“ ს/კ 60003002480 ა/ა GE08TB7354836010100008 ი/მეწარმე ლ.ლექვინაძე

421271563

ბ.ა

დ ა ნ ა რ თ ი

№	დასახელება	რაოდენობა	ერთეულის ღირებულება	საერთო თანხა
1	სუვენირებისა და სასაჩუქრე ნივთების დამზადება			800.00
ჯამი:რვა ათასი ლარი				8 000.00ლარი